



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

„30“ მარტი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უპირობოდ, თხოვნის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით ნანა წიწაშვილს (პირადი №20001004263) გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ რუისპირში მდებარე 2500 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 142 კვ.მ და 56.3 კვ.მ შენობა - ნაგებობით (ს/კოდი №53.11.41.078, საერთო ღირებულებით 17 400 ლარი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე  პაატა გიორგობიანი

